სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა დაფინანსებულია 957.2 ათასი ლარით: პროექტირება და ზედამხედველობა დაფინანსებულია 257.2 ათასი ლარით და სოფლის პროექტები დაფინანსებულია 700.0 ათასი ლარით.

ჯანმრთელობის დაცვა დაფინანსებულია – 86.8 ათასი ლარით . საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება დაფინანსებულია – 86.8 ათასი ლარით.

დასვენება, კულტურა და რელიგია დაფინანსებულია – 1382.0 ათასი ლარით მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში დაფინანსებულია – 465.8 ათასი ლარით. სპორტული ღონისძიების ხარჯი - 3.5 ათასი ლარით. სპორტული სკოლა და სპორტულ გამაჯანსაღებელი მუნიციპალური ცენტრი დაფინანსებულია -453.3 ათასი ლარით.

მომსახურება კულტურის სფეროში დაფინანსებულია – 829.6 ათასი ლარით. მ/შორის: თერაპიის სახელოვნებო განათლების კულტურისა და ტურიზმის განვითარების მუნიციპალური ცენტრი 140.3 ათასი ლარით. სახელოვნებო სკოლები (სამუსიკო და სამხატვრო) დაფინანსებულია - 208.0 ათასი ლარით. ბიბლიოთეკები დაფინანსებულია – 123.1 ათასი ლარით. კულტურის სახლი დაფინანსებულია – 293.6 ათასი ლარით, მუზეუმები დაფინანსებულია – 64.6 ათასი ლარით. საგამომცემლო საქმიანობის ხარჯი დაფინანსებულია – 55.0 ათასი ლარით.

რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა დაფინანსებულია – 40.6 ათასი ლარით. ახალგაზრდული ღონისძიებები დაფინანსებულია – 20.6 ათასი ლარით. რელიგიური საქმიანობა დაფინანსებულია – 20.0 ათასი ლარით.

განათლების ხარჯი დაფინანსებულია – 3981.1 ათასი ლარით.

სკოლამდელი აღზრდის მუნიციპალური ცენტრი დაფინანსებულია – 101.4 ათასი ლარით. სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხარჯები დაფინანსებულია – 2795.3 ათასი ლარით.

სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების რეაბილიტაცია დაფინანსებულია 284.4 ათასი ლარი.

სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა განათლების სფეროში დაფინანსებულია - 800.0 ათასი ლარით: მოსწავლე ახალგაზრდობის მოქალაქეობრივი და ესთეტიკური აღზრდის მუნიციპალური ცენტრი დაფინანსებულია - 186.9 ათასი ლარით. ხოლო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებები დაფინანსებულია 613.1 ათასი ლარით.

სოციალური დაცვა დაფინანსებულია – 1255.9 ათასი ლარით.

კრედიტორული დავალიანება არის 0,0 ათასი ლარი, ხოლო დებიტორული დავალიანება -10.0 ათასი ლარი. ასევე გრძელვადიანი ვალდებულება არის - 512.0 ათასი ლარი.

მერიის სარეზერვო ფონდი წლიური გეგმით გათვალისწინებული იყო 50.0 ათასი ლარით, ხოლო ფაქტიურად გახარჯულია 36.7 ათასი ლარი.

თერჯოლის მუნიციპალიტეტში საქართველოს მთავრობის N1394 და N2712 განკარგულებებით, სტიქიით მიყენებული ზარალის სალიკვიდაციოდ მიღებული დაფინანსებიდან 2021 წელს (62.1 ათასი ლარი) გახარჯულია -44.9 ათასი ლარი.

საქართველოს მთავრობის 2020 წლის 31 დეკემბრის №2685 განკარგულებით თერჯოლის მუნიციპალიტეტისათვის „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან“ 2021 წელში გამოეყო დაფინანსება -5440.0 ათასი ლარი. მათ შორის: სოფელ ქვედა სიმონეთში საავტომობილო გზის რეაბილიტაცია დაფინანსდა 343.0 ათასი ლარით. სოფელ აღისუბანი-სკანდის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია დაფინანსდა 205.2 ათასი ლარით; ქ.თერჯოლაში გოფანდის ეკლესიასთან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია დაფინანსდა 373.0 ათასი ლარით; სოფ. რუფოთი-ჩხარის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია დაფინანსდა 157.5 ათასი ლარით ; სოფ. ნახშირღელეში ხუჯაძეები-ჩუბინიძეების უბანთან დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია დაფინანსდა 398.1 ათასი ლარით; სოფელ ზედა სიმონეთის სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაცია დაფინანსდა 360.7 ათასი ლარით; სიქთარვა-ჩხარი ენრის დამაკავშირებელი საავტომობილო გზის რეაბილიტაცია დაფინანსდა 954.6 ათასი ლარით; სოფ. თუშში ცენტრალური გზიდან წმ. სამების ეკლესიამდე მისასვლელი გზის რეაბილიტაცია დაფინანსდა 519.7 ათასი ლარით; ღვანკითი-ავტობანის საავტომობილო გზის რეაბილიტაცია დაფინანსდა 500.0 ათასი ლარით; კვახჭირში ცენტრალური საავტომობილო გზის რეაბილიტაცია დაფინანსდა 798.0 ათასი ლარით; სოფ. გოგნში ტყიბულთან დამაკავშირებელი საავტომობილო გზის რეაბილიტაცია დაფინანსდა 489.2 ათასი ლარით; სოფ. ზედა საზანოში საბავშვო ბაღის შენობის სამშენებლო სამუშაოები დაფინანსდა 280.9 ათასი ლარით; სოფ. ახალთერჯოლის სასმელი წყლის სისტემის მოწყობაზე გამოყოფილი იყო 60.0 ათასი ლარი, სამუშაოების დაწყება ვერ მოესწრო.

სოფლის მხარდაჭერის პროგრამებზე გამოყოფილი და გახარჯულია 690.0 ათასი ლარი.

ასევე, ა(ა)იპ-ების საკუთარი ხარჯების გეგმა განსაზღვრული იყო 168.4 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურად გახარჯულია 151.5 ათასი ლარი.

მოსწავლე-ახალგაზრდობის სოციალური დაცვის, მოქალაქეობრივი და ესთეტიკური აღზრდის მუნიციპალურ ცენტრში გახარჯულია 12.9 ათასი ლარი.

დასუფთავებისა და კეთილმოწყობის მუნიციპალურ სამსახურში გახარჯულია 29.1 ათასი ლარი.

სახელოვნებო სკოლებში გახარჯულია 5.6 ათასი ლარი.

სპორტული სკოლა და სპორტულ-გამაჯანსაღებელ მუნიციპალურ ცენტრში გახარჯულია 1.5 ათასი ლარი.

საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მუნიციპალურ ცენტრში გახარჯულია 102.4 ათასი ლარი.

ადგილობრივი ბიუჯეტიდან ინფრასტრუქტურულ ობიექტებზე შესრულებულია 652.7 ათასი ლარის სამუშაოები.

თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტი დამტკიცებულია მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ, 2021 წლის 14 დეკემბრის N21 დადგენილებით 13500.0 ათასი ლარის ოდენობით.

2022 წლის 1 იანვრისათვის ნაშთი შეადგენდა 1679.3 ათას ლარს. მათ შორის: ადგილობრივი შემოსავლები 1602.1 ათას ლარს და ცენტრალური ბიუჯეტიდან გრანტების (კაპიტალური ტრანსფერის) სახით მიღებული შემოსავალი 77.2 ათას ლარს.

2022 წლის ათ თვეში ბიუჯეტის ცვლილება 12-ჯერ განხორციელდა და ბიუჯეტის მოცულობა განისაზღვრა 29534.1 ათასი ლარით. მათ შორის: გადასახადები 13335.0 ათასი ლარი, გრანტები 12988.2 ათასი ლარი, სხვა შემოსავლები 981.6 ათასი ლარი, არათვინანსური აქტივების კლება 550.0 ათასი ლარი. 2021 წლის ბოლოს დაგროვილი ნაშთი შეადგენდა 1679.3 ათას ლარს.

თერჯოლის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის 2022 წლის გადასახდელების საგასავლო ნაწილი დაფინანსება – 29534.1 ათასი ლარით.

მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის 2022 წლის გადასახდელების საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა დაფინანსდება -4598.0 ათასი ლარით.

თავდაცვის ხარჯები დაფინანსდება – 162.0 ათასი ლარით.

ეკონომიკური საქმიანობა დაფინანსდება - 5344.7 ათასი ლარით.

გარემოს დაცვა (თერჯოლის დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სამსახური) დაფინანსდება -2525.0 ათასი ლარით.

სახინაო კომუნალური მეურნეობა დაფინანსდება – 5914.2 ათასი ლარით: კომუნალური მეურნეობის განვითარება – 3016.7 ათასი ლარით. წყლის სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია დაფინანსდება – 1292.5 ათასი ლარით. გარე განათება დაფინანსდება – 500.0 ათასი ლარით. სხვა არაკლასიფიცირებული სამუშაოები დაფინანსდება 1105.0 ათასი ლარით. სოფლის მხარდაჭერის პროგრამა დაფინანსდება 715.0 ათასი ლარით. საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპერტო მომსახურების შესყიდვა და საპროექტო დოკუმენტაციისა და სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურება დაფინანსდება 390.0 ათასი ლარით.

ჯანმრთელობის დაცვა დაფინანსდება - 110.0 ათასი ლარით. საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება დაფინანსდება – 110.0 ათასი ლარით.

დასვენება, კულტურა და რელიგია დაფინანსდება - 1817.0 ათასი ლარით:

მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში დაფინანსდება – 570.0 ათასი ლარით. სპორტული ღონისძიების ხარჯი - 30.0 ათასი ლარით. სპორტული სკოლა და სპორტულ გამაჯანსაღებელი მუნიციპალური ცენტრი დაფინანსდება -540.0 ათასი ლარით.

მომსახურება კულტურის სფეროში დაფინანსდება – 982.0 ათასი ლარით. მ/შორის: თერჯოლის სახელოვნებო განათლების კულტურისა და ტურიზმის განვითარების მუნიციპალური ცენტრი დაფინანსდება 177.0 ათასი ლარით. სახელოვნებო სკოლები (სამუსიკო და სამხატვრო) დაფინანსდება - 230.0 ათასი ლარით. ბიბლიოთეკები

დაფინანსდება -148.0 ათასი ლარით. კულტურის სახლი დაფინანსდება - 347.0 ათასი ლარით, მუზეუმები დაფინანსდება - 80.0 ათასი ლარით. საგამომცემლო საქმიანობის ხარჯი დაფინანსდება - 55.0 ათასი ლარით.

რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა დაფინანსდება - 210.0 ათასი ლარით. ახალგაზრდული ღონისძიებები დაფინანსდება - 40.0 ათასი ლარით. რელიგიური საქმიანობა დაფინანსდება - 170.0 ათასი ლარით.

განათლების ხარჯი დაფინანსდება - 7818.2 ათასი ლარით.

სკოლამდელი აღზრდის მუნიციპალური ცენტრი დაფინანსდება - 120.0 ათასი ლარით. სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხარჯები დაფინანსდება - 3300.0 ათასი ლარით.

სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების რეაბილიტაცია დაფინანსდება 2874.7 ათასი ლარით.

ზოგადი განათლება დაფინანსდება - 1523.5 ათასი ლარით: მოსწავლე ახალგაზრდობის მოქალაქეობრივი და ესთეტიკური აღზრდის მუნიციპალური ცენტრი დაფინანსდება - 230.0 ათასი ლარით. ხოლო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებები დაფინანსდება 1293.5 ათასი ლარით.

სოციალური დაცვა დაფინანსდება - 1245.0 ათასი ლარით.

2022 წლის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი წლიური გეგმით გათვალისწინებულია -60.8 ათასი ლარი.

კრედიტორული დავალიანება არის 0,0 ათასი ლარი, ხოლო დებიტორული დავალიანება -10.0 ათასი ლარი. ასევე გრძელვადიანი ვალდებულება არის - 158.8 ათასი ლარი.

თერჯოლის მუნიციპალიტეტში საქართველოს მთავრობის 2017 წლის N2712 განკარგულებით, სტიქიით მიყენებული ზარალის სალიკვიდაციოდ მიღებული დაფინანსებიდან 2022 წელს გაიხარჯება 17.2 ათასი ლარი.

საქართველოს მთავრობის 2022 წლის 17 იანვრის №75 განკარგულებით თერჯოლის მუნიციპალიტეტს „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან“ 2022 წელში გამოეყო დაფინანსება -5667.0 ათასი ლარი. მათ შორის: ღვანკითი-ავტობანის საავტომობილო გზის რეაბილიტაცია დაფინანსდება 709.5 ათასი ლარით, სოფ. ზედა საზანოში საბავშვო ბაღის შენობის სამშენებლო სამუშაოები დაფინანსდება 614.4 ათასი ლარით, სოფ. ახალთერჯოლის სასმელი წყლის სისტემის მოწყობა დაფინანსდება 1149.5 ათასი ლარით, სოფ. თავასა-თუზის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია დაფინანსდება 505.2 ათასი ლარით, ქ. თერჯოლაში პუშკინის ქუჩაზე არსებული გზის რეაბილიტაცია დაფინანსდება 222.4 ათასი ლარით, გოგნი-ტყიბულის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია დაფინანსდება 120.2 ათასი ლარით, სოფ. სარბევში გზის 400 მეტრიანი მონაკვეთის მოწყობა ბეტონის საფარით მოწყობა დაფინანსდება 263.2 ათასი ლარით. სოფ. ჩიხორი-შიმშილაქედის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია დაფინანსდება 463.4 ათასი ლარით. ძვერში ჩხარი-ენერთან დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია დაფინანსდება 359.6 ათასი ლარით, ქ. თერჯოლაში ვარლამ მაკარიძის ქუჩაზე არსებული გზის

რეაბილიტაცია დაფინანსდება 465.5 ათასი ლარით, თერჯოლა - ღვანკითის დამაკავშირებელი საავტომობილო გზის რეაბილიტაცია დაფინანსდება 285.0 ათასი ლარით. სოფ. ბარდუბანში სათემოს უბანთან დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია დაფინანსდება 226.1 ათასი ლარით, ქ. თერჯოლაში მაჩიტაძეების უბნის საავტომობილო გზის რეაბილიტაცია დაფინანსდება 283.1 ათასი ლარით,

ასევე, საქართველოს მთავრობის 2021 წლის 16 აგვისტოს №1419 განკარგულებით, თერჯოლის მუნიციპალიტეტს საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროექტების ფონდიდან გამოეყო დაფინანსება 4541.1 ათასი ლარი, რომლითაც დაფინანსდება: ტურისტებისათვის ბუნების და მემკვიდრეობის ძეგლებთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურის განვითარების ფარგლებში სოფელ ძეგრში საგვარჯილეს მღვიმეების მიმდებარედ არსებული რეკრეაციული ზონის მოწყობა 1214.5 ათასი ლარით; სოციალური ინფრასტრუქტურის განვითარება და მოდერნიზაციის მიზნით, ქ.თერჯოლაში მერიის ადმინისტრაციული შენობის მიმდებარედ არსებული ღია ამფითეატრისა, მის მიმდებარედ არსებული შენობა - ნაგებობების ფასადებისა და სკვერის მოწყობა-რეაბილიტაციაზე გამოყოფილია 1082.7 ათასი ლარით, ქალაქ თერჯოლის მესამე საბავშვო ბაღის მშენებლობაზე დაიხარჯება 2221.4 ათასი ლარი.

საქართველოს მთავრობის 2022 წლის 26 იანვრის N 131 განკარგულებით, თერჯოლის მუნიციპალიტეტი დაფინანსდება 545.0 ათასი ლარით სტიქიით მიყენებული ზიანის სალიკვიდაციოდ.

სოფლის მხარდაჭერის პროგრამებზე გამოყოფილია 690.0 ათასი ლარი.

გარდა ფონდებიდან გამოყოფილი თანხებისა ადგილობრივი შემოსავლებიდან ინფრასტრუქტურულ ობიექტებზე გაიხარჯება 818.0 ათასი ლარი.

#### ინფორმაცია

თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის ათი თვის შესრულების შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონისა და „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ შესაბამისად, თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტი დამტკიცებულია მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ, 2021 წლის 14 დეკემბრის N21 დადგენილებით 13500.0 ათასი ლარის ოდენობით.

2022 წლის 1 იანვრისათვის ნაშთი შეადგენდა 1679.3 ათას ლარს. მათ შორის: ადგილობრივი შემოსავლები 1602.1 ათას ლარს და ცენტრალური ბიუჯეტიდან გრანტების (კაპიტალური ტრანსფერის) სახით მიღებული შემოსავალი 77.2 ათას ლარს.

2022 წლის ათ თვეში ბიუჯეტის ცვლილება 12-ჯერ განხორციელდა და ბიუჯეტის მოცულობა განისაზღვრა 29534.1 ათასი ლარით.

2022 წლის ბიუჯეტის ათ თვეში ფაქტიური შემოსულობები 20892.5 ათას ლარს, ხოლო ფაქტიური გადასახდელები 19474.4 ათას ლარს შეადგენს. 2022 წლის 1 ნოემბრისათვის ნაშთი არის 1418.1 ათასი ლარი.

თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის ათი თვის  
შემოსულობების ანალიზი

თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის ათი თვის ფაქტიურმა შემოსავლებმა 20892.5 ათასი ლარი შეადგინა, რაც წლიური გეგმის (29534.1 ათასი ლარი) 70,7 %-ია.

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ათი თვის ფაქტიურ შემოსავლებში (20892.5 ათასი ლარი), საგადასახადო შემოსავლების ხვედრითი წილი 11344.6 ათას ლარს, ანუ 54,2 %-ს შეადგენს. არასაგადასახადო (სხვა) შემოსავლების ხვედრითი წილი 824.7 ათას ლარს, ანუ 3,9 %-ს. გრანტების სახით მიღებული შემოსავლები 6890.7 ათას ლარს, ანუ 32,9%-ს. არაფინანსური აქტივების კლებიდან შემოსავლები შეადგენს 153.2 ათას ლარს.

ფაქტიური შემოსავლების ანალიზიდან ჩანს, რომ 2022 წლის ათი თვის ფაქტიურ შემოსულობებში მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში აკუმულირებული შემოსავლებიდან მნიშვნელოვანი ხვედრითი წილი 11344.6 ათას ლარი (54,2%) საგადასახადო შემოსავლებს უჭირავს. დამატებული ღირებულების გადასახადის სახით ჩარიცხულია 9365.1 ათასი ლარი. დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად მიზნობრივი ტრანსფერის სახით ჩარიცხულია 897.6 ათასი ლარი, რაც წლიური გეგმიური მოცულობის (1369.0 ათასი ლარი) 65,5%-ია. სახელმწიფო ფონდებიდან ტრანსფერების სახით შემოსავლები ბიუჯეტში ჩარიცხულია 5993.1 ათასი ლარის ოდენობით. წლიური გეგმიური მაჩვენებელი ამ სახით გათვალისწინებულია 11619.2 ათასი ლარი.

თავის მხრივ, სახელმწიფო ფონდებიდან მისაღები ტრანსფერები მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის განსაზღვრულია „რეგიონში განსახორციელებელ პროექტებზე“ 10079.7 ათასი ლარი, საქართველოს მთავრობის განკარგულებებით სხვადასხვა სახის პროექტებისათვის გათვალისწინებულია 200.0 ათასი ლარი, სოფლის მხარდაჭერის პროგრამაზე 690.0 ათასი ლარი, სკოლებზე 104.5 ათასი ლარი, ხოლო სტიქიით დაზიანებული ინფრასტრუქტურის აღდგენისათვის 545.0 ათასი ლარი.

2022 წლის ათ თვეში საკუთარი (საგადასახადო და არასაგადასახადო) შემოსავლები განსაზღვრული იყო 10983.7 ათასი ლარით. ფაქტიურმა მაჩვენებელმა 12322.5 ათასი ლარი შეადგინა, რაც 1338.8 ათასი ლარით აღემატება გეგმით გათვალისწინებულ მაჩვენებელს.

საკუთარ შემოსავლებში საგადასახადო შემოსავლების გეგმა შეადგენდა 10105.4 ათას ლარს, რომელიც ნაწილდება მიწის გადასახადზე (45.0 ათასი ლარი), დამატებული ღირებულების გადასახადზე (8360.1 ათასი ლარი) სანარმოთა ქონების გადასახადზე ( 1700.0 ათასი ლარი) და ფიზიკურ პირთა ქონებაზე 0.3 ათასი ლარი.

2022 წლის ათ თვეში არასაგადასახადო შემოსავლების გეგმა-დავალება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში გათვალისწინებული იყო 726.3 ათასი ლარი, შესრულებამ შეადგინა 824.7 ათასი ლარი, რაც 98.4 ათასი ლარით აღემატება დაგეგმილს.



არათფინანსური აქტივების კლებიდან შემოსავლები ჩარიცხულია 153.2 ათასი ლარის ოდენობით.

თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის ათ თვეში შემოსავლების შესრულება გადასახადების ცალკეული სახეების მიხედვით ასეთია:

ა) სანარმოთა ქონების გადასახადი შესრულდა-113,7%-ით (გეგმა -1700.0 ათასი ლარი, ფაქტი - 1933.4 ათასი ლარი).

ბ) ფიზიკურ პირთა ქონება ჩარიცხულია 0.3 ათასი ლარი.

გ) სასოფლო მიწაზე გადასახადი შესრულდა-100,3%-ით (გეგმა -26.0 ათასი ლარი, ფაქტი - 26.1 ათასი ლარი).

დ) არასასოფლო მიწაზე გადასახადი ჩარიცხულია 19.7 ათასი ლარი.

ე) დამატებული ღირებულების გადასახადი -112,0%-ით (გეგმა- 8360.1 ათასი ლარი, ფაქტი - 9365.1 ათასი ლარი).

ვ) დეპოზიტებზე და ანგარიშებზე პროცენტები ჩარიცხულია 134.4 ათასი ლარი.

ზ) მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის-100,8 %-ით (გეგმა - 360.0 ათასი ლარი, ფაქტი - 363.0 ათასი ლარი).

თ) ჯარიმები, სანქციები, საურავები-101,3 %-ით (გეგმა -110.0 ათასი ლარი, ფაქტი - 111.5 ათასი ლარი).

ი) სხვადასხვა არასაგადასახადო შემოსავლები - 170,8 %-ით (გეგმა - 126.3 ათასი ლარი,

ფაქტი -215.8 ათასი ლარი).

თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის ათ თვის ფაქტიური შემოსულობები:

N	დასახელება	ფაქტიური მაჩვენებელი (ათასლარებში)	ხვედრითი წილი (%-ში)
1.	შემოსავლები სულ მათშორის:	19060.0	91,2
ა)	საგადასახადო შემოსავლები	11344.6	54,2
ბ)	გრანტები	6890.7	32,9
გ)	სხვა შემოსავლები	824.7	3,9
2.	არათფინანსური აქტივების კლება	153.2	0,7
3.	ნაშთი	1679.3	8,0
	სულ შემოსულობები	20892.5	100,0

**თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის ათი თვის  
გადასახდელების ანალიზი**

თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის ათი თვის გადასახდელების გეგმა შეადგენს 19474.4 ათას ლარს, ფაქტიურად მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საგასავლო ნაწილი დაფინანსებულია – 19474.4 ათასი ლარით, ანუ გეგმა შესრულებულია 100,0%-ით.

N	თერჯოლის მუნიციპალიტეტი	ფაქტიური მაჩვენებელი	ხვედრითი წილი %
	სულ	19474.4	100,0
1	ხარჯები	12829.2	65,9
1.1	შრომის ანაზღაურება	2402.4	18,7
1.2	საქონელი და მომსახურება	2217.8	17,3
1.3	პროცენტი	28.7	0,2
1.4	სუბსიდიები	6757.5	51,1
1.5	გრანტი	3.0	0,1
1.6	სოციალური უზრუნველყოფა	738.7	5,7
1.7	სხვა ხარჯი	681.1	5,3
2	არაფინანსური აქტივები	6587.2	33,8
3	ვალდებულებები	58.0	0,3

მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის ათი თვის გადასახდელებში საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება დაფინანსებულია – 100,0 %-ით, ანუ – 3422.6 ათასი ლარით (გეგმა- 3422.6 ათასი ლარი; ფაქტი -3422.6 ათასი ლარი).

თავდაცვის ხარჯები დაფინანსებულია – 132.3 ათასი ლარით (გეგმა 132.3 ათასი ლარი; ფაქტი – 132.3 ათასი ლარი). გეგმა შესრულებულია 100,0 %-ით.

ეკონომიკური საქმიანობა დაფინანსებულია – 3012.8 ათასი ლარით (გეგმა – 3012.8 ათასი ლარი; ფაქტი -3012.8 ათასი ლარი).

გარემოს დაცვა (თერჯოლის დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სამსახური) დაფინანსებულია –2394.3 ათასი ლარით (გეგმა – 2394.3 ათასი ლარი; ფაქტი – 2394.3 ათასი ლარი). გეგმა შესრულებულია - 100,0%-ით.

საბინაო კომუნალური მეურნეობა დაფინანსებულია – 2806.6 ათასი ლარით (გეგმა – 2806.6 ათასი ლარი; ფაქტი -2806.6 ათასი ლარი). გეგმა შესრულებულია - 100,0%-ით.

კომუნალური მეურნეობის განვითარება დაფინანსებულია 811.6 ათასი ლარით (გეგმა - 811.6 ათასი ლარი, ფაქტი 811.6 ათასი ლარი). გეგმა შესრულებულია 100,0%-ით.

წყალმომარაგება დაფინანსებულია – 1196.0 ათასი ლარით (გეგმა - 1196.0 ათასი ლარი; ფაქტი -1196.0 ათასი ლარი). გეგმა შესრულებულია -100,0% ით.

გარე განათება დაფინანსებულია – 364.0 ათასი ლარით (გეგმა – 364.0 ათასი ლარი; ფაქტი – 364.0 ათასი ლარი). გეგმა შესრულებულია -100,0 % ით.

სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო კომუნალურ მეურნეობაში დაფინანსებულია – 435.0 ათასი ლარით (გეგმა – 435.0 ათასი ლარი; ფაქტი -435.0 ათასი ლარი).

ჯანმრთელობის დაცვა დაფინანსებულია -103.6 ათასი ლარით (გეგმა -103.6 ათასი ლარი; ფაქტი – 103.6 ათასი ლარი). გეგმა შესრულებულია- 100,0 %-ით.

საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება დაფინანსებულია – 103.6 ათასი ლარით.

დასვენება, კულტურა და რელიგია დაფინანსებულია – 1428.2 ათასი ლარით (გეგმა – 1428.2 ათასი ლარი; ფაქტი – 1428.2 ათასი ლარი). გეგმა შესრულებულია - 100,0%-ით.

მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში დაფინანსებულია – 476.6 ათასი ლარით (გეგმა – 476.6 ათასი ლარი; ფაქტი – 476.6 ათასი ლარი). გეგმა შესრულებულია - 100.0 პროცენტით.

სპორტული სკოლა და სპორტულ გამაჯანსაღებელი მუნიციპალური ცენტრი დაფინანსებულია 464.9 ათასი ლარით. სპორტული ღონისძიებები დაფინანსებულია 11.7 ათასი ლარით.

მომსახურება კულტურის სფეროში დაფინანსებულია – 856.2 ათასი ლარით (გეგმა – 856.2 ათასი ლარი; ფაქტი-856.2 ათასი ლარი). გეგმა შესრულებულია - 100,0 %-ით. მ/შორის: თერჯოლის სახელოვნებო განათლების კულტურისა და ტურიზმის განვითარების მუნიციპალური ცენტრი 166.9 ათასი ლარით, სახელოვნებო სკოლები (სამუსიკო და სამხატვრო) დაფინანსებულია - 203.2 ათასი ლარით, ბიბლიოთეკები დაფინანსებულია – 123.6 ათასი ლარით, კულტურის სახლი დაფინანსებულია – 299.1 ათასი ლარით, მუზეუმები დაფინანსებულია – 63.4 ათასი ლარით.

რელიგიური და სხვა საზოგადოებრივი საქმიანობა დაფინანსებულია – 47.3 ათასი ლარით. ახალგაზრდული პროგრამები დაფინანსებულია 27.3 ათასი ლარით. რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა დაფინანსებულია 20.0 ათასი ლარით.

საგამომცემლო საქმიანობა დაფინანსებულია 48.1 ათასი ლარით.

განათლების ხარჯი დაფინანსებულია – 5214.1 ათასი ლარით (გეგმა – 5214.1 ათასი ლარი; ფაქტი - 5214.1 ათასი ლარი). გეგმა შესრულებულია - 100,0 %-ით.

სკოლამდელი აღზრდა დაფინანსებულია 4170.5 ათასი ლარით. აქედან: სკოლამდელი აღზრდის მუნიციპალური ცენტრი დაფინანსებულია – 96.1 ათასი ლარით, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხარჯები დაფინანსებულია – 2707.7 ათასი ლარით, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების რეაბილიტაცია, მშენებლობა დაფინანსებულია 1368.7 ათასი ლარით.

ზოგადი განათლება დაფინანსებულია 1043.6 ათასი ლარით (გეგმა - 1043.6 ათასი ლარი; ფაქტი – 1043.6 ათასი ლარი). მოსწავლე-ახალგაზრდობის მოქალაქეობრივი და ესთეტიკური აღზრდის მუნიციპალური ცენტრი დაფინანსებულია - 199.7 ათასი ლარით, საშუალო სკოლებში ინფრასტრუქტურის მონაცობა და მოსწავლეთა ტრანსპორტირება დაფინანსებულია 843.9 ათასი ლარით. აქედან მოსწავლეთა ტრანსპორტირება დაფინანსებულია 747.6 ათასი ლარით და სარემონტო სამუშაოები დაფინანსებულია 96.3 ათასი ლარით.

სოციალური დაცვა დაფინანსებულია – 959.9 ათასი ლარით (გეგმა – 959.9 ათასი ლარი; ფაქტი - 959.9 ათასი ლარი). გეგმა შესრულებულია - 100,0%-ით.

2022 წლის ბიუჯეტის წლიური სარემონტო ფონდი დაგეგმილია - 60 800 ლარით და გაიხარჯა - 33200 ლარი.

კრედიტორული დავალიანება არ ირიცხება, ხოლო დებიტორული დავალიანება შეადგენს -10.0 ათასი ლარს. ასევე, გრძელვადიანი ვალდებულება არის - 2.5 ათასი ლარი.

თერჯოლის მუნიციპალიტეტში საქართველოს მთავრობის 2017 წლის N2712 განკარგულებით, სტიქიით მიყენებული ზარალის სალიკვიდაციოდ მიღებული დაფინანსებიდან 2022 წელს გაიხარჯა 17.2 ათასი ლარი.

საქართველოს მთავრობის 2022 წლის 17 იანვრის №75 განკარგულებით თერჯოლის მუნიციპალიტეტს „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან“ 2022 წელში გამოეყო დაფინანსება -5561.1 ათასი ლარი. მათ შორის: ღვანკითი-ავტობანის საავტომობილო გზის რეაბილიტაცია დაფინანსდება 709.5 ათასი ლარით, შესრულებულია 709.5 ათასი ლარის სამუშაოები; სოფ. ზედა საზანოში საბავშვო ბაღის შენობის სამშენებლო სამუშაოები დაფინანსდება 614.4 ათასი ლარით, შესრულებულია 614.4 ათასი ლარის სამუშაოები; სოფ. ახალთერჯოლის სასმელი წყლის სისტემის მონყობა დაფინანსდება 959.5 ათასი ლარით, შესრულებულია 959.5 ათასი ლარის სამუშაოები; სოფ. თავასა-თუმის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია დაფინანსდება 505.2 ათასი ლარით, შესრულებულია 505.2 ათასი ლარის სამუშაოები; ქ. თერჯოლაში პუშკინის ქუჩაზე არსებული გზის რეაბილიტაცია დაფინანსდება 222.4 ათასი ლარით, შესრულებულია 222.4 ათასი ლარის სამუშაოები, გოგნი-ტყიბულის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია დაფინანსდება 120.2 ათასი ლარით, შესრულებულია 120.2 ათასი ლარის სამუშაოები, სოფ. სარბევში გზის 400 მეტრიანი მონაკვეთის მონყობა ბეტონის საფარით მონყობა დაფინანსდება 279.4 ათასი ლარით. სოფ. ჩიხორი-შიშმილაქედის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია დაფინანსდება 507.5 ათასი ლარით. ძვერში ჩხარი-ენერთან დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია დაფინანსდება 365.4 ათასი ლარით, შესრულებულია 359.6 ათასი ლარის სამუშაოები, ქ. თერჯოლაში ვარლამ მაკარიძის ქუჩაზე არსებული გზის რეაბილიტაცია დაფინანსდება 431.9 ათასი ლარით, შესრულებულია 423.2 ათასი ლარის სამუშაოები, თერჯოლა - ღვანკითის დამაკავშირებელი საავტომობილო გზის რეაბილიტაცია დაფინანსდება 285.0 ათასი ლარით. სოფ. ბარდუბანში სათემოს უბანთან დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია დაფინანსდება 257.7 ათასი ლარით, შესრულებულია 195.1 ათასი ლარის სამუშაოები. ქ. თერჯოლაში მაჩიტაძეების უბნის საავტომობილო გზის რეაბილიტაცია დაფინანსდება 303.1 ათასი ლარით, უკვე შესრულებულია 167.8 ათასი ლარის სამუშაოები.

ასევე, საქართველოს მთავრობის 2021 წლის 16 აგვისტოს №1419 განკარგულებით, თერჯოლის მუნიციპალიტეტს საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროექტების ფონდიდან გამოეყო დაფინანსება 4541.1 ათასი ლარი, რომლითაც დაფინანსდება: ტურისტებისათვის ბუნების და მემკვიდრეობის ძეგლებთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურის განვითარების ფარგლებში სოფელ ძვერში საგვარჯილეს მღვიმეების მიმდებარედ არსებული რეკრეაციული ზონის მონყობა 1214.5 ათასი ლარით; სოციალური ინფრასტრუქტურის განვითარება და მოდერნიზაციის მიზნით, ქ.თერჯოლაში მერიის ადმინისტრაციული შენობის მიმდებარედ არსებული ღია ამფითეატრისა, მის მიმდებარედ არსებული შენობა - ნაგებობების ფასადებისა და სკვერის მონყობა-რეაბილიტაციაზე გამოყოფილია 1082.7 ათასი ლარით, უკვე შესრულებულია 167.9 ათასი ლარის სამუშაოები და ქალაქ თერჯოლის მესამე საბავშვო ბაღის მშენებლობაზე დაიხარჯება 2221.4 ათასი ლარით, უკვე შესრულებულია 737.8 ათასი ლარის სამუშაოები.

საქართველოს მთავრობის 2022 წლის 26 იანვრის N 131 განკარგულებით, თერჯოლის მუნიციპალიტეტი დაფინანსდება 545.0 ათასი ლარით სტიქიით მიყენებული ზიანის სალიკვიდაციოდ. აქედან უკვე შესრულებულია 114.9 ათასი ლარის სამუშაოები.

სოფლის მხარდაჭერის პროგრამებზე გამოყოფილია 690.0 ათასი ლარი.

გარდა ფონდებიდან გამოყოფილი თანხებისა ადგილობრივი შემოსავლებიდან არაფინანსური აქტივების ზრდაზე გაიხარჯება 818.0 ათასი ლარი, რომლიდანაც უკვე გახარჯულია 674.0 ათასი ლარი.

### **თავი III. თერჯოლის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები და პროგრამები საშუალოვადიან პერიოდში**

#### **შესავალი**

2023-2026 წლებში თერჯოლის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ გადადგმულმა ნაბიჯებმა უნდა შექმნას საშუალო ვადიან პერიოდში მუნიციპალიტეტის სოციალური და ეკონომიკური განვითარების მყარი საფუძვლები. ამ მიზნის მისაღწევად მუნიციპალიტეტის განვითარების ხედვა ეფუძნება შემდეგ პრინციპებს: თერჯოლის მუნიციპალიტეტის ისტორიულად მიმზიდველი გარემოს შენარჩუნება და განვითარება. მისი ტურისტული პოტენციალის მაქსიმალური გამოვლენა. რაც გულისხმობს მიმზიდველი გარემოს შექმნას და ტურიზმის განვითარებით თერჯოლის მოსახლეობის ეკონომიკურ გაუმჯობესებას.

წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები ერთობლივად ყველა მიმართულებით გაატარებს ძირეულ და ინოვაციურ რეფორმებს. ამ რეფორმების შედეგად, მივიღებთ მცირე, მოქნილ და ეფექტიან მართველობით გუნდს, რომელიც მაქსიმალურად შეუწყობს ხელს მუნიციპალიტეტში საკუთარი შემოსავლების ზრდას და მობილიზებული სახსრების ეფექტურად განკარგვას.

ეფექტურად გაგრძელება ყველა ისეთი საჭირო კომუნიკაციების მშენებლობა რეაბილიტაცია, როგორცაა გზები, გარე განათება, წყალმომარაგება და სხვა. რათა მაქსიმალურად ხელი შეეწოს ინვესტიციების მოზიდვას და ეკონომიკის განვითარებას.

განათლება, ახალგაზრდობა და ინოვაცია. განათლებული, მოტივირებული, სამეწარმეო სულისკვეთების მქონე, საკუთარ შესაძლებლობებში დარწმუნებული ახალგაზრდობა გახდება იმ მთავარი შედეგის მომტანი, რომელიც მუნიციპალიტეტს ჩააყენებს განვითარებული და ინოვაციური ეკონომიკის მქონე როგორც საქართველოს ასევე სხვა ქვეყანის წარმატებული მუნიციპალიტეტებს შორის. შესაბამისად, წახალისდება ისეთი ინოვაციური პროექტები რომელიც მოზარდი თაობის განვითარებას შეუწყობს ხელს.

როგორც ქვეყნის მთავრობისათვის ასევე მუნიციპალიტეტშიც ადამიანი და მასზე ზრუნვა იყო, არის და იქნება ჩვენი მთავარი ღირებულება. ამიტომ, გაგრძელება და შექმნება ისეთი ახალი პროგრამები რომელიც სოციალურად დაუცველ მოსახლეობაში გაზრდის ხელმისაწვდომობას სხვადასხვა სახელმწიფო თუ არასახელმწიფო სერვისების მიღებაზე.

## ინფრასტრუქტურის განვითარება

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება და აღნიშნული მიმართულება ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. ინფრასტრუქტურის განვითარება პირდაპირ კავშირშია მუნიციპალიტეტის მოსახლეობის კეთილდღეობასთან, ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტში ინვესტიციების მოზიდვას, რაც ტურიზმის, მრეწველობის, სოფლის მეურნეობის და სხვა დარგების განვითარების წინაპირობაა. პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელება საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა რეაბილიტაცია, წყლის სისტემების, გარე განათების ქსელის განვითარება და მუნიციპალიტეტში სხვა აუცილებელი კეთილმოწყობის ღონისძიებების დაფინანსება. პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება როგორც ახალი ინფრასტრუქტურის მშენებლობა, ასევე, არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

ათასი ლარი

პროგრამული კოდი	დასახელება	2022 წლის გეგმა	2023 წლის გეგმა	2024 წლის პროგნოზი	2025 წლის პროგნოზი	2026 წლის პროგნოზი
02 00	ინფრასტრუქტურის განვითარება	11 326,9	1 610,0	6 560,0	7 760,0	9 010,0
02 01	გზებისა და ხიდების, მიმდებარე ტერიტორიების მშენებლობის, რეკონსტრუქციისა და მოვლა შენახვის ხარჯი	5 250,7	400,0	2 800,0	3 700,0	4 600,0
02 02	წყლის სისტემის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	1 492,5	300,0	1 350,0	1 600,0	1 950,0
02 03	გარე განათების ქსელის რეაბილიტაცია ექსპლოატაცია	462,0	450,0	650,0	700,0	700,0
02 04	კომუნალური მეურნეობის განვითარება	3 016,7	150,0	1 300,0	1 300,0	1 300,0
02 05	სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	715,0	10,0	10,0	10,0	10,0
02 06	საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპერტო მომსახურების შესყიდვა და საპროექტო დოკუმენტაციისა და სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურება	390,0	300,0	450,0	450,0	450,0

პროგრამის დასახელება	კოდი	გზებისა და ხიდების, მიმდებარე ტერიტორიების მშენებლობის, რეკონსტრუქციისა და მოვლა შენახვის ხარჯი	დაფინანსება	
			2023 წელი ათას ლარში	2024--2026 წელი ათას ლარში
	02 01		400,0	11100,0

პროგრამის განმახორციელებელი	სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის და არქიტექტურის სამსახური.
პროგრამის აღწერა	<p>საგზაო ინფრასტრუქტურის ექსპლოატაციის, მოვლა-შენახვის სამუშაოები თერჯოლის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ყოველწლიურად ინტენსიურად მიმდინარეობს. სამუშაოები მოიცავს ასფალტირებული ქუჩების დაზიანებული მონაკვეთების აღდგენა-რეაბილიტაციას (ე.წ. ორმული შეკეთება); არასასფალტირებული ქუჩების გრუნტის საფარის მოსწორებას და მოხრეშვა-მოშანდაკებას; სტიქიური მოვლენების პრევენციის მიზნით სამუშაოების ჩატარებას.</p> <p>სამუშაოები შესაძლებელია განხორციელდეს საგზაო ინფრასტრუქტურის იმ მონაკვეთებზე, რომლებზეც წლის განმავლობაში გამოიკვეთება სამუშაოების შესრულების აუცილებლობა.</p> <p>რეგიონში განმახორციელებელი პროექტების ფონდიდან თერჯოლის მუნიციპალიტეტს 2023 წელს გამოეყოფა გზების რეაბილიტაციისათვის დაფინანსება 5 593.4 ათასი ლარი. მათ შორის: სოფელ ჩიხორი-შიშილაქედის საავტომობილო გზის რეაბილიტაცია დაფინანსდება 1 410.365 ათასი ლარით. სოფ. ბარდუბანი- სათემოს უბანთან დამაკავშირებელი საავტომობილო გზის რეაბილიტაცია დაფინანსდება 1008.8 ათასი ლარით და სოფ. ძეგრი- ჩხარეიწერთან დამაკავშირებელი საავტომობილო გზის რეაბილიტაცია დაფინანსდება 1 457.0 ათასი ლარით. თერჯოლა-ღვანკითის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია დაფინანსდება 860162.0ათ ლარით.ქ.თერჯოლაში ვარლამ მაკარაძის ქუჩაზე არსებული გზის რეაბილიტაცია დაფინანსდება 537614.0 ათ. ლარით, ქ თერჯოლაში მაჩიტაძეების უბანში არსებული გზის რეაბილიტაცია დაფინანსდება 319046 .0 მათ ლარით.</p>
მოსალოდნელი შედეგი	ქ. თერჯოლაში ასევე სოფლების დამაკავშირებელი გზებს ჩაუტარდა მიმდინარე შეკეთება (ორმული სამუშაოები, მოხრეშვა). შესრულებული სამუშაოები უსაფრთხოს გახდის ამ გზებზე გადაადგილებას. 2023 წელს რეაბილიტირებული გზებით ისარგებლებს ადგილობრივი ქალაქ თერჯოლის და სოფლების მოსახლეობა.

პროგრამის დასახელება	კოდი	წყლის სისტემის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	დაფინანსება	
			2023 წელი ათას ლარში	2024-2026 წელი ათას ლარში
	02 02		300,0	4900,0
პროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ -თერჯოლის მუნიციპალიტეტის დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სამსახური ; სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის და არქიტექტურის სამსახური.			
პროგრამის აღწერა	<p>ბოლო 10 წლის განმავლობაში თერჯოლის მუნიციპალიტეტში ინტენსიურად მიმდინარეობს წყლის სისტემების სამშენებლო სამუშაოები, მოსახლეობის ტ/ წყლით მომარაგების უზრუნველსაყოფად. ასევე ქალაქ თერჯოლის გარდა 18 ადმინისტრაციულ ერთეულში ხორციელდება წლის სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოები კერძოდ: არსებული წყლის სისტემის მაგისტრალის განწმენდა და დაზიანების აღმოფხვრა. ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება და ფინანსდება შემდეგი ღონისძიებები:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>- მწყობრიდან გამოსული წყლის მილების შეკეთება და გამოცვლა;</li> <li>- ამორტიზებული და დაზიანებული ტუმბოების შეკეთება, ახლით ჩანაცვლება;</li> <li>- საჭიროების შესაბამისად წყლის ახალი ტუმბოების შექმნა.</li> </ul> <p>შინაარსის ტიპის მიხედვით წყლის სისტემების ექსპლოატაციის ქვეპროგრამა მიეკუთვნება მომსახურების მიწოდების ტიპის ქვეპროგრამას, პროგრამის ფარგლებში მომსახურება გაწევა მუნიციპალიტეტში მცხოვრებ მოსახლეობას.</p> <p>პროგრამის ფარგლებში განხორციელდება არსებული სისტემის მოვლა შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.</p>			
მოსალოდნელი შედეგი	მოსახლეობის უწყვეტი ტ/წყალმომარაგება. უწყვეტი წყალმომარაგებით მოსარგებლე ოჯახების ზრდა.			

პროგრამის დასახელება	კოდი	გარე განათების ქსელის რეაბილიტაცია ექსპლოატაცია	დაფინანსება	
			2023 წელი ათას ლარში	2024-2026 წელი ათას ლარში

	<b>02 03</b>		<b>450,0</b>	<b>2050,0</b>
პროგრამის განმახორციელებელი	სივრცითი მონაცემების, ინფრასტრუქტურის და არქიტექტურის სამსახური. ა(ა)იპ -თერჯოლის მუნიციპალიტეტის დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სამსახური ; საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური			
პროგრამის აღწერა	<p>ღამის პერიოდში მუნიციპალიტეტში უსაფრთხო გადაადგილებისთვის და კომფორტული გარემოს შექმნისთვის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია გამართული გარე განათების ქსელის ფუნქციონირებას. მუნიციპალურ ბიუჯეტში წარმოდგენილი გარე განათების პროგრამის ფარგლებში სწორედ გარე განათების სისტემის განვითარებისა და ექსპლოატაციისთვის საჭირო ხარჯები ფინანსდება. დღეის მდგომარეობით მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე განათების ქსელი ფუნქციონირებს ქ. თერჯოლაში და 18 ადმინისტრაციულ ერთეულში (დასახლებულ პუნქტში), გარე განათების ქსელით მოწყობილია მუნიციპალიტეტის დასახლებული ტერიტორიის 40%. გარე განათების სისტემა მოიცავს 5251-ზე მეტ განათებისა და ელექტროგაყვანილობის ბოძს, 5300-ზე მეტ სანათ წერტილს, 65700 გრძივ მეტრზე მეტ სადენს და სხვა დამხმარე ინფრასტრუქტურას. პროგრამის ასიგნებების მნიშვნელოვანი ნაწილი (დაახლოებით 120,0 ათასი ლარი ყოველწლიურად) ხმარდება მოხმარებული ელექტროენერჯის ანაზღაურებას. პროგრამა შედგება 2 ქვეპროგრამისაგან. ესენია:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>- გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია; რეაბილიტაციას</li> <li>- კაპიტალური დაბანდებები გარე განათების სფეროში.</li> </ul> <p>გარე განათების პროგრამა შინაარსის ტიპის მიხედვით არის როგორც კაპიტალური/ინფრასტრუქტურული ხასიათის, ასევე - მომსახურების. კაპიტალური ნაწილი მოიცავს გარე განათების ქსელის გაფართოება-გაუმჯობესების ღონისძიებებს, ხოლო მომსახურების ნაწილი - გარე განათების არსებული ქსელის ექსპლოატაციას (მ.შ. მოხმარებული ელექტროენერჯის ხარჯის ანაზღაურებას).</p> <p>ხანგრძლივობის მიხედვით, ექსპლოატაციის ნაწილში პროგრამა არის მუდმივმოქმედი, ხოლო ინფრასტრუქტურულ ნაწილში - მრავალწლიანი.</p> <p>2023 წლის ბიუჯეტიდან ასიგნებები გამოყოფილია მხოლოდ გარე განათების ქსელის ექსპლოატაციის ქვეპროგრამაზე. ექსპლოატაციის ხარჯების დაფინანსება ხორციელდება მუნიციპალური ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლებიდან, ხოლო კაპიტალური დანახარჯები უმეტესწილად გაიწევა სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი კაპიტალური ტრანსფერით.</p>			
მოსალოდნელი შედეგი	გარე განათების სისტემის შეუფერხებელი ფუნქციონირება. შედეგად, მუნიციპალიტეტის ტერიტორიის ის ნაწილი, სადაც მონაცემილია გარე განათება ქსელი განათებული იქნება სრულად. ფეხით-მოსიარულეთა და სატრანსპორტო მოძრაობის უსაფრთხო გადაადგილება დღე-ღამის ნებისმიერ დროს			

პროგრამის დასახელება	კოდი	კომუნალური მეურნეობის განვითარება	დაფინანსება	
			2023 წელი ათას ლარში	2024-2026 წელი ათას ლარში
			<b>150,0</b>	<b>3900,0</b>
პროგრამის განმახორციელებელი	<b>02 04</b>	სივრცითი მონაცემების, ინფრასტრუქტურის და არქიტექტურის სამსახური.		
პროგრამის აღწერა		მუნიციპალიტეტის მთავარ ფუნქციას წარმოადგენს მუნიციპალიტეტის მთელი ტერიტორიის კეთილმოწყობა. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება საზოგადოებრივი ობიექტების კეთილმოწყობა, მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების ეზოებისა და შენობების სახურავების რეაბილიტაცია, მოვლა-შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები. ამ ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასაცხოვრებელი ადმინისტრაციული სხვადასხვა დანიშნულების შენობების სხვადასხვა სახის მიმდინარე სარემონტო სამუშაოები, რომლითაც თავიდან იქნება აცილებული შემდგომი დაზიანებები და დამატებითი საბიუჯეტო სახსრების ხარჯვა.		
მოსალოდნელი შედეგი		კეთილმოწყობილი ინფრასტრუქტურა. მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობების გაუმჯობესება.		

პროგრამის დასახელება	კოდი	სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	დაფინანსება
----------------------	------	-----------------------------	-------------



			2023 წელი ათას ლარში	2022- 2024წელი ათას ლარში
	02 05		10,0	30,0
პროგრამის განმხორციელებელი	სივრცითი მონაცემის, ინფრასტრუქტურის და არქიტექტურის სამსახური.			
პროგრამის აღწერა	სოფლების ცხოვრების დონის ამაღლებისა და სხვადასხვა საზოგადოებრივი პრობლემების მოგვარების მიზნით სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში, გამოყოფილი დაფინანსებიდან განხორციელდება მოსახლეობის მიერ არჩეული პროექტების დაფინანსება.			
მოსალოდნელი შედეგი	რეაბილიტირებული ინფრასტრუქტურა სოფლად			

პროგრამის დასახელება	კოდი	საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპორტო მომსახურების შესყიდვა დასაპროექტო დოკუმენტაციისა და სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურება	დაფინანსება	
			2023 წელი ათას ლარში	2024-2026 წელი ათას ლარში
	02 06		300,0	1 350.0
პროგრამის განმხორციელებელი	სივრცითი მონაცემის, ინფრასტრუქტურის და არქიტექტურის სამსახური.			
პროგრამის აღწერა	ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტში მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვა. ამასთან, იმ ხელშეკრულებებზე რომელთა ღირებულება არ აღემატება 50.0 ათას ლარს პროექტის შემდგენი ახორციელებს შესრულებული სამუშაოების ექსპერტიზას. ამ პროგრამის ფარგლებში ასევე ფინანსდება 50.0 ლარზე მეტი თანხის ინფრასტრუქტურული პროექტების ტექნიკური ზედამხედველობის (საექსპერტო მომსახურების) სამუშაოების შესყიდვა. პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტებისათვის დროულად და კვალიფიციურად მოხდეს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა. ასევე, პროექტების განხორციელებისას ჩატარებული სამუშაოების ხარისხის უზრუნველყოფა მათზე მუდმივი ზედამხედველობის განხორციელების გზით. პროგრამის თანხების განკარგვა ხორციელდება რეგიონალურ დონეზე ჩატარებული კონსოლიდირებული ტენდერების საშუალებით.			
მოსალოდნელი შედეგი	ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია დროულად და კვალიფიციურად მომზადდება; შესრულებული ინფრასტრუქტურული პროექტების მაღალი ხარისხი, ისე რომ იგი აკმაყოფილებდეს პროექტით განსაზღვრულ და ქვეყანაში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სამშენებლო ნორმებს (სტანდერტებს).			

## დასუფთავება და გარემოს დაცვა

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება გარემოს დასუფთავება და ნარჩენების გატანა, მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, განვითარება, კაპიტალური დაბანდლები დასუფთავების სფეროში, უპატრონო ცხოველების მოვლითი ღონისძიებები დაფინანსდება აღნიშნულთან დაკავშირებული ხარჯები, უზრუნველყოფილი იქნება მუნიციპალიტეტის დასუფთავება, ნარჩენების გატანა, მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, უპატრონო ცხოველების მოვლითი ღონისძიებები. შესაბამისად ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ქალაქის სანიტარული წესრიგის შენარჩუნება და გაუმჯობესება; ნარჩენების სრული იზოლირება მოსახლეობისა და გარემოსაგან; მუნიციპალიტეტის ყოველდღიური დაგვა-დასუფთავება და ნარჩენების

გატანა; ქალაქის ტერიტორიის კეთილმოწყობითი და გამწვანებითი სამუშაოები. ერთწლიანი და მრავალწლიანი ნარგავების დარგვა, სკვერებში ბალახის გათიბვა ქალაქისა და მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე; მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული მანანალა ძაღლების თავშესაფარში გადაყვანა.

ათას ლარში

პროგრამული კოდი	დასახელება	2022 წლის გეგმა	2023 წლის გეგმა	2024 წლის პროგნოზი	2025 წლის პროგნოზი	2026 წლის პროგნოზი
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	3 045,0	2 600,0	3 300,0	3 300,0	3 300,0
03 01	დასუფთავება და კეთილმოწყობა	3 045,0	2 600,0	3 300,0	3 300,0	3 300,0

პროგრამის დასახელება	კოდი	დასუფთავება და კეთილმოწყობა	დაფინანსება	
			2023 წელი ათას ლარში	2024-2026 წელი ათას ლარში
	03 01		2600,0	9 900,0
პროგრამის განმახორციელებელი		ა(ა)იპ -თერჯოლის მუნიციპალიტეტის დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სამსახური ; სივრცითი მონყობის, ინფრასტრუქტურის და არქიტექტურის სამსახური.		
პროგრამის აღწერა		ქუჩების , მოედნების , სკვერების,შენობების საზოგადოებრივი ადგილების დარგვა-დასუფთავება,საყოფაცხოვრებო მყარი ნარჩენების შეგროვება, გაუნებელყოფა -განთავსების ადგილზე ტრანსპორტირება. ქუჩების, სკვერების და პარკების მოვლა- პატრონობა და გამწვანება, გარე განათების მოწყობა, მოვლა-პატრონობა და რეგულირება.სანიღვრე არხების მოწყობა და სრულფასოვნად ფუნქციონირების უზრუნველყოფა, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შენობა ნაგებობების მიმდებარე ტერიტორიის, ტროტუარების, კომუნიკაციების, საგზაო ინფრასტრუქტურის მონყობის, შეკეთების და ექსპლოატაციის უზრუნველყოფა,საუბნო გზების მოწყობა ინერტული მასალით, ბოვირების, ცხაურების მოწყობა, მოვლა- პატრონობა.წყლის მომარაგების/ ტექნიკური წყალი/ სისტემის შეკეთებითი და სარეაბილიტაციო სამუშაოების წარმოება-მშენებლობა, ზამთრის სეზონზე ქუჩების და ტროტუარების თოვლის საფარისაგან გაწმენდა.		
მოსალოდნელი შედეგი		მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის სუფთა მონყისრიგებული გარემოს შექმნა, მონყისრიგებული დასუფთავებული ტერიტორია,მუნიციპალიტეტის იერ- სახის გაუმჯობესება,გარე განათების გამართული ქსელი		

### განათლება

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულელებით დანყებითი და ზოგადი განათლების გარდა მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ასევე სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში მომდევნო წლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, ინვენტარით უზრუნველყოფა.

ათას ლარში

პროგრამული კოდი	დასახელება	2022 წლის გეგმა	2023 წლის გეგმა	2024 წლის პროგნოზი	2025 წლის პროგნოზი	2026 წლის პროგნოზი
04 00	განათლება	7 993,8	3 811,0	4 310,0	4 510,0	4 510,0
04 01	სკოლამდელი დანყისებულელების ფუნქციონირება	3 486,8	3 526,0	3 950,0	4 150,0	4 150,0
04 01 01	სკოლამდელი აღზრდის დანყისებულელების მართვა	120,0	126,0	150,0	150,0	150,0
04 01 02	სკოლამდელი აღზრდის დანყისებულელები	3 366,8	3 400,0	3 800,0	4 000,0	4 000,0

04 02	სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია, მშენებლობა	2 874,7	10,0	50,0	50,0	50,0
04 03	საშუალო სკოლებში ინფრასტრუქტურის მოწყობა და მოსწავლეთა ტრანსპორტირება	1 385,3	10,0	10,0	10,0	10,0
04 04	სკოლისგარეშე განათლება	247,0	265,0	300,0	300,0	300,0

პროგრამის დასახელება	კოდი	სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების მართვა	დაფინანსება	
			2023 წელი ათას ლარში	2024-2026 წელი ათას ლარში
	04 01 01		126,0	450,0
პროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ „თერჯოლის სკოლამდელი აღზრდის მუნიციპალური ცენტრი,,			
პროგრამის აღწერა	საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მიხედვით აღრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების შექმნა და მათი ფუნქციონირების უზრუნველყოფა მუნიციპალიტეტის საკუთარ (ეფსკლუზიურ) უფლებამოსილებას წარმოადგენს. მუნიციპალიტეტი ვალდებულია უზრუნველყოს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების შეუფერხებელი ფუნქციონირებისათვის საჭირო ფინანსების გამოყოფა და ყველა სხვა ღონისძიების გატარება. თერჯოლისმუნიციპალიტეტის ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტს სწორედ მუნიციპალიტეტში მცხოვრები ბავაბაღის ასაკის ბავშვებისათვის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელმისაწვდომობა წარმოადგენს.			
მოსალოდნელი შედეგი	თერჯოლის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები სააღმზრდელო პროცესის წარმართვისათვის უზრუნველყოფილი იქნება შესაბამისი პირობებით, მათ შორის: სააღმზრდელო დაწესებულებებში დაცული იქნება სახელმწიფოს მიერ დადგენილი სტანდარტების უმეტესობა, დაცული იქნება სანიტარული და ჰიგიენური, კვების ორგანიზებისა და კვების რაციონის ნორმები; სააღმზრდელო დაწესებულებებში და ა(ა)იპ - სკოლამდელი საგანმანათლებლო-სააღმზრდელო ცენტრში დასაქმებული ადმინისტრაციული და სააღმზრდელო პერსონალი უზრუნველყოფილი იქნება სამუშაო პირობებით.			

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები	დაფინანსება	
			2023 წელი ათას ლარში	2024-2026 წელი ათას ლარში
	04 01 02		3400,0	11 800,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ „თერჯოლის სკოლამდელი აღზრდის მუნიციპალური ცენტრი,,			
ქვეპროგრამის აღწერა	მუნიციპალიტეტში სულ 1500 სკოლამდელი ასაკის ბავშვია რეგისტრირებული, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულ 26 საბავშვო ბაღში დღეის მდგომარეობით შესაძლებელია 1300 ბავშვის სწავლება, ხოლო 200 ბავშვი მოკლებულია შესაძლებლობას ისარგებლოს შესაბამისი მომსახურებით. ა(ა)იპ „თერჯოლის სკოლამდელი აღზრდის მუნიციპალური ცენტრი ,, მოიცავს ცენტრის 26 საბავშვო ბავაბაღს სადაც ფუნქციონირებს 54 სააღმზრდელო ჯგუფი, 477 თანამშრომლით. მათ შორის 93 აღმზრდელია და 92 აღმზრდელის თანამშემწე. (ა)იპის ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად 2023 წლისათვის იგეგმება სკოლამდელი აღზრდის სფეროში დახვეწილი მართვის პოლიტიკის განხორციელება, რაც გულისხმობს სახელმწიფო სტანდარტების შესაბამისი პროგრამების და სწავლების მეთოდების შესწავლა, დახვეწას: მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული სტანდარტების შესაბამისი კვებით უზრუნველყოფა, აღსაზრდელო უსაფრთხოების მიზნით ბავაბაღების ინფრასტრუქტურის(ვზო, შენობა, ინვენტარი და სხვა) მოწესრიგება. ბავაბაღების პერსონალის შრომითი პირობების გაუმჯობესება და მათი კვალიფიკაციის ღონის ამალღება. 2023 წლის სექტემბერში დასრულდება ქალაქის ტერიტორიაზე მდებარე N 3 ბაღის მშენებლობა, ასევე სრული რეაბილიტაცია ჩატარდება სოფელ ბარდუხის N1 ბაღს, სოფ. ღვანკითის და ძეგრის ბაღებს. სოფ. ჭოგნარის ბაღში იგეგმება სახურავის შეკვლა, ხოლო ჩხარში ამენდება ახალი ბაღი.			

მოსალოდნელი შედეგი	პარმონიულად განვითარებული და დაწყებითი საფეხურის პირველი კლასისათვის მომზადებული ბავშვები
--------------------	---

პროგრამის დასახელება	კოდი	სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია, მშენებლობა	დაფინანსება			
			2023 წელი ათას ლარში	2024-2026 წელი ათას ლარში		
	<b>04 02</b>		<b>10,0</b>	<b>150,0</b>		
პროგრამის განმახორციელებელი	სივრცითი მონყობის, ინფრასტრუქტურის და არქიტექტურის სამსახური.					
პროგრამის აღწერა	პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტში არსებული ბაღების შენობების რეაბილიტაცია და ახალი ბაღების მშენებლობა.					
მოსალოდნელი შედეგი	რეაბილიტირებული საბავშვო ბაღები, მონესრიგებული ინფრასტრუქტურა					
მოსალოდნელი შედეგის შეფასების ინდიკატორი	#	ინდიკატორის აღწერა	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა)	განმარტება
	1	აშენებული / რეაბილიტირებული სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები	3	5		
	2					

პროგრამის დასახელება	კოდი	საშუალო სკოლებში ინფრასტრუქტურის მოწყობა და სველი წერტილების მოწესრიგება.	დაფინანსება	
			2023 წელი ათას ლარში	2024-2026 წელი ათას ლარში
	<b>04 03</b>		<b>10,0</b>	<b>30,0</b>
პროგრამის განმახორციელებელი	სივრცითი მონყობის, ინფრასტრუქტურის და არქიტექტურის სამსახური.			
პროგრამის აღწერა	ამ პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის სარეაბილიტაციო სამუშაოები. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება წინა წლებში აღებული ვალდებულებების შესრულება. აშენდა სამი ახალი სკოლა, სიქთარვაში, საზანოში და ჩხარის N2 საჯარო სკოლა(მეტლახში), ასევე გაგრძელდება ახალი სკოლების მშენებლობა.			
მოსალოდნელი შედეგი	მოწესრიგებული ინფრასტრუქტურა და მოწესრიგებული სველი წერტილები.			

პროგრამის დასახელება	კოდი	სკოლისგარეშე განათლება	დაფინანსება	
			2023 წელი ათას ლარში	2024-2026 წელი ათას ლარში
	<b>04 04</b>		<b>265,0</b>	<b>900,0</b>

პროგრამის განმახორციელებელი	ა(ა) იპ თერჯოლის მოსწავლე-ახალგაზრდობის სოციალური დაცვის, მოქალაქეობრივი და ესთეტიკური აღზრდის მუნიციპალური ცენტრი
პროგრამის აღწერა	ა(ა)იპ თერჯოლის მოსწავლე-ახალგაზრდობის სოციალური დაცვის, მოქალაქეობრივი და ესთეტიკური აღზრდის მუნიციპალური ცენტრი, არის არაფორმალური სკოლისგარეშე საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც ემსახურება 6-21 წლამდე მოსწავლე-ახალგაზრდობას, რომლის ფუნდამენტური პრინციპია ნებაყოფლობითობა და ხელმისაწვდომობა, რაც სათანადო პირობების შესაბამისი სტრატეგიული, პერსპექტიული გეგმებით, პროგრამებით და ქვეპროგრამებით ხორციელდება, პროგრამული ბიუჯეტიდან გამოდინარე 2021-22 სასწავლო წელს „ცენტრში“ მუშაობდა 4 ქვეპროგრამა, რომელშიც გაერთიანებული იყო 26 კლუბი და წრე . სასწავლო წლის პროგრამული ბიუჯეტი დაგეგმილი და ორიენტირებული იყო „ცენტრში“ მოსწავლეთა ჩართულობის 20 % ზრდასა და მუშაობის ხარისხის კოეფიციენტის ამაღლებაზე. რასაც „ცენტრმა“ წარმატებით გაართვა თავი, მოსწავლეთა რაოდენობა- 628, სასწავლო-შემოქმედებით მუშაობაში ჩართულობა გაიზარდა 20%-ით. ეფასდა ხარისხის მაჩვენებელი, სასწავლო პროცესში შესაბამისი ინდიკატორებით ცალკეულ კლუბებსა და წრეებში, რაც აისახა შედეგოვანი საბჭოს სხდომაზე „ცენტრის“ მუშაობის შეფასებისას, რომელსაც საფუძვლად დაედო, კოორდინატორთა, მენეჯერთა, მონიტორინგის ჯგუფის მიერ მომზადებული ანგარიშები, შეფასებები. მოსწავლეთა აქტიური, წარმატებული მუშაობა შესაბამისად აისახა სტატისტიკაშიც, წლის განმავლობაში მოსწავლეთა ცენტრში დიპლომებით, სივლეებით 203, ფასიანი საჩუქრებით(წიგნები) დაჯილდოვდა 50 მოსწავლე.
მოსალოდნელი შედეგი	თერჯოლის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები, მოსწავლე-ახალგაზრდობის ცნობიერების ამაღლების ხელშეწყობა , მოსწავლეთათვის საინტერესო, სასწავლო-შემეცნებითი და გასართობი ატმოსფეროს შექმნა, პროგრამების, აქტივობების, ღონისძიებების განხორციელებაში მოსწავლეთა ჩართულობის გაზრდა, მათი უნარების, შემოქმედებითი ნიჭის , პოტენციალის რეალიზებისათვის სათანადო გარემოს შექმნა, ინციატივების, წამოწყებების მხარდაჭერა. საბაზისო ცოდნის მიზნობა და საზოგადოებაში ინტეგრირების, ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების ხელშეწყობა.

### კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობა და სპორტი

მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალელურად აუცილებელია ხელი შეეწყოს კულტურული ტრადიციების დაცვას და ამ ტრადიციების ღირსეულ გაგრძელებას. ამასთანავე ერთ-ერთი პრიორიტეტი ახალგაზრდობის მრავალმხრივი (როგორც სულიერი, ისე ფიზიკური თვალსაზრისით) განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება.

შესაბამისად, მუნიციპალიტეტი განაგრძობს კულტურული ღონისძიებების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი სპორტული შესაძლებლობების გამოვლინება, ასევე ახალგაზრდებში ცხოვრების ჯანსაღი წესის ნახალისების მიზნით გასატარებელი ღონისძიებების ჩატარება.

ათას ლარში

პროგრამული კოდი	დასახელება	2022 წლის გეგმა	2023 წლის გეგმა	2024 წლის პროგნოზი	2025 წლის პროგნოზი	2026 წლის პროგნოზი
05 00	კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობა და სპორტი	1 903,6	1 826,0	2 054,0	2 054,0	2 054,0
05 01	სპორტის სფეროს განვითარება	606,6	620,0	640,0	640,0	640,0
05 01 01	სპორტული ღონისძიებები	30,0	20,0	40,0	40,0	40,0
05 01 02	სპორტული სკოლა	576,6	600,0	600,0	600,0	600,0
05 02	კულტურის სფეროს დაწესებულებების ხელშეწყობა	1 032,0	1 051,0	1 104,0	1 104,0	1 104,0
05 02 01	სახელოვნებო განათლების კულტურისა და ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა	203,0	209,0	222,0	222,0	222,0
05 02 02	სახელოვნებო სკოლები	238,0	245,0	265,0	265,0	265,0
05 02 03	ბიბლიოთეკები	151,0	150,0	160,0	160,0	160,0
05 02 04	კულტურის სახლები	360,0	378,0	370,0	370,0	370,0

05 02 05	მუზეუმები	80,0	69,0	87,0	87,0	87,0
05 03	ახალგაზრდული პროგრამების დაფინანსება	40,0	40,0	50,0	50,0	50,0
05 04	რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა	170,0	50,0	200,0	200,0	200,0
05 05	საგამომცემლო საქმიანობა	55,0	65,0	60,0	60,0	60,0

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სპორტული ღონისძიებები	დაფინანსება	
			2023 წელი ათას ლარში	2024-2026 წელი ათას ლარში
	05 01 01		20,0	120,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური			
ქვეპროგრამის აღწერა	ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება: სხვადასხვა სახის სპორტული ღონისძიებების და აქტივობების ორგანიზება, მასში მონაწილე სპორტსმენებისა და ახალგაზრდების დაჯილდოება, წახალისება ფულადი და ფასიანი საჩუქრებით; ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია; მოზარდების ჩართვა მასობრივი სპორტის სახეობებში; წარმატებული ახალგაზრდა და ვეტერანი სპორტსმენების დაჯილდოება			
მოსალოდნელი შედეგი	<ul style="list-style-type: none"> <li>ახალგაზრდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება.</li> <li>წარმატებულ სპორტსმენთა გამოვლენა.</li> </ul> მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ჩატარებულია სხვადასხვა სპორტული ღონისძიებები			

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სპორტული სკოლა	დაფინანსება	
			2023 წელი ათას ლარში	2024-2026 წელი ათას ლარში
	05 01 02		600,0	1 800,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ „თერჯოლის სპორტული სკოლა და სპორტულ-გამაჯანსაღებელი მუნიციპალური ცენტრი,,			
ქვეპროგრამის აღწერა	სპორტული ცენტრი აერთიანებს 13 სპორტულ მიმართულებას, ესენია: ფეხბურთი (75 ბავშვი);სამბო(24 ბავშვი); ქართული ჭიდაობა (12 ბავშვი);თავისუფალი და ბერძნულ-რომაული ჭიდაობა (57 ბავშვი); ძიუდო(36 ბავშვი);რაგბი (40 ბავშვი); ტანვარჯიში (18 ბავშვი);უშუ(11 ბავშვი);კინგბოქსი(13 ბავშვი); მაგიდის ჩოგბურთი (24 ბავშვი); ხრიდოლი (8 ბავშვი); ჭადრაკი (41 ბავშვი); კალათბურთი (18 ბავშვი). სულ ცენტრში სპორტის სახეობებს ეუფლება 370 ბავშვი, რომელთაც სამწვრთნელო პროცესი უტარდებათ კვირაში 3-ჯერ. . ცენტრის აღსაზრდელები პერიოდულად გადიან სპორტულ შეკრებებს, მონაწილეობას ღებულობენ სპორტულ შეჯიბრებებში და ტურნირებში როგორც საქართველოს მასშტაბით ასევე საზღვარგარეთ.			
მოსალოდნელი შედეგი	.სპორტული გუნდების შევსება ახალგაზრდა სპორტსმენებით; .აღსაზრდელთა ჩართულობის ზრდა სპორტულ ცხოვრებაში; აღსაზრდელთა სპორტული მიღწევების ზრდა; .სხვადასხვა სპორტის სახეობებში ტალანტების გამოვლენა;			

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სახელოვნებო განათლების კულტურისა და ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა	დაფინანსება	
			2023 წელი ათას ლარში	2024-2026 წელი ათას ლარში
	05 02 01		209,0	666,0

ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ თერჯოლის სახელოვნებო განათლების, კულტურისა და ტურიზმის მუნიციპალური ცენტრი.
ქვეპროგრამის აღწერა	ქვეპროგრამის ფარგლებში ა(ა)იპ „თერჯოლის სახელოვნებო განათლების კულტურისა და ტურიზმის მუნიციპალური ცენტრი“, ხელმძღვანელობს და კოორდინირებს უწევს ფილიალების საქმიანობას. მათი მიზნებისა და ამოცანების, ახალი სასწავლო მეთოდების დანერგვა განხორციელებას. ამ ქვეპროგრამით განხორციელდება სახელოვნებო სკოლების ფინანსური მხარდაჭერა, რათა მათ ქონდეთ შესაძლებლობა უზრუნველყონ შესაბამისი პირობების შექმნა. აქვე ფუნქციონირებს შემოქმედებითი წრეები, სადაც მოსწავლე ახალგაზრდობა ეუფლება შესაბამის სამუსიკო და სამხატვრო განათლებას. აგრეთვე მუნიციპალიტეტის კულტურული ტრადიციების დაცვის მიზნით პროგრამის ფარგლებში გავრცელდება სხვადასხვა კულტურული ობიექტების ფინანსური მხარდაჭერა სუბსიდიის მეხლით, ასევე განხორციელდება სხვადასხვა კულტურული ღონისძიებები, მათ შორის სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი ღონისძიებები. ტურიზმის განვითარება. საბიბლიოთეკო დოკუმენტების შეგროვება, დაცვა, პოპულარიზაცია ადგილობრივი და უცხოელი მკითხველის მომსახურება. შემოქმედებითი კლუბების, სამოყვარულო თეატრების, ცეკვისა და სიმღერის ფოლკლორული ანსამბლების ხელშეწყობა და განვითარება. სამუზეუმო საქმიანობა და მუზეუმების ფონდების ბაზაზე სამეცნიერო საგანმანათლებლო მუშაობის წარმოება.
მოსალოდნელი შედეგი	ფოლკლორული ანსამბლების სახელოვნებო ღონის გაუმჯობესება. ტურისტების გაზრდილი რაოდენობა, გაზრდილი ქალაქის კულტურული აქტივობა

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სახელოვნებო სკოლები	დაფინანსება	
			2023 წელი ათას ლარში	2024-2026 წელი ათას ლარში
			05 02 02	245.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ „თერჯოლის სახელოვნებო განათლების კულტურისა და ტურიზმის მუნიციპალური ცენტრი,,			
ქვეპროგრამის აღწერა	ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება „ვ. კუბლაშვილის სახელობის თერჯოლის სამუსიკო-საგანმანათლებლო სკოლა“, სადაც მუსიკალურ განათლებას იღებს 211 ბავშვი, ისინი შეისწავლიან ფორტეპიანოს, გიტარას, ვოკალს, და მუსიკის თეორიას. სამხატვრო სკოლაში სწავლობს 65 მოსწავლე, რომლებიც ეუფლებიან ხატვას, ფერწერას, კომპოზიციას, დიზაინს, გამოყენებით ხელოვნებას, ხელოვნების ისტორიას. ცენტრის მხარდაჭერით ხორციელდება სხვადასხვა კონკურსებზე სახელოვნებო სკოლების მოსწავლეთა მონაწილეობის უზრუნველყოფა და მათი ნიჭის გამოვლენა. აქტუალურია სამუსიკო სკოლის შენობის კაპიტალური შეკეთება, ორივე სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება, ასევე მოთხენადია ხალხურ საკრავებზე დაკვრის შესწავლის შესაძლებლობის მიღება.			
მოსალოდნელი შედეგი	მოზარდთა მუსიკალური და სამხატვრო განათლების მიღება; ქვეყნის მოქალაქეების და მოქალაქეობის არმქონე პირების შვილებისთვის მუსიკალური და სამხატვრო განათლების მიღების შეუზღუდველობა			

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ბიბლიოთეკები	დაფინანსება	
			2023 წელი ათას ლარში	2024-2026 წელი ათას ლარში
			05 02 03	150.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ „თერჯოლის სახელოვნებო განათლების კულტურისა და ტურიზმის მუნიციპალური ცენტრი,,			

<p>ქვეპროგრამის აღწერა</p>	<p>ქვეპროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან მთლიანად ფინანსდება ბიბლიოთეკის ხარჯები სუბსიდირების მუხლით. საჯარო ბიბლიოთეკა კოორდინაციას უწევს საბიბლიოთეკო, საინფორმაციო და ბიბლიოგრაფიულ მომსახურებას, ბიბლიოთეკის მომხმარებელთა მოთხოვნების, ინტერესებისა და პროფესიული მოთხოვნების შესწავლასა და ანალიზს, მათი მომსახურებისათვის სათანადო პირობების შექმნასა და ინტერესების სრულად და ოპერატიულად დაკმაყოფილებას. საბიბლიოთეკო ფონდი შეადგენს 91305 წიგნს, ღირებულებით 215366 ლარი.</p> <p>ბიბლიოთეკაში შეიქმნას ისეთი ფიზიკური და ვირტუალური საჯარო სივრცე, რომელიც იქნება ხელმისაწვდომი და მისაღები ყველასთვის; ბიბლიოთეკარების მოტივაციისა და კვალიფიკაციის ამაღლება იმსათვის, რომ ისინი ჩამოყალიბდნენ საზოგადოებისთვის სანდო და კომპეტენტურ მრჩეველებად; უფასო საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება; ახალი ციფრული და ელ. სერვისების გავრცელება საჯარო და სასოფლო ბიბლიოთეკებში.</p>
<p>მოსალოდნელი შედეგი</p>	<p>ინფორმაციის ხელმისაწვდომობა ყველასთვის; საქართველოს კულტურის, რელიგიის და ეთნიკური მრავალფეროვნების შენარჩუნება; გონივრული ბალანსის დაცვა გლობალიზაციის და ეროვნულ თვითშეზღვევას შორის; უფასო ცოდნის, განათლებისა და ინფორმაციის ხელმისაწვდომობა საზოგადოების ყველა წევრს, რაც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ფაქტორია.</p>

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	კულტურის სახლები	დაფინანსება	
	05 02 04		2023 წელი ათას ლარში	2024-2026 წელი ათას ლარში
<p>ქვეპროგრამის განმახორციელებელი</p>	<p>ა(ა)იპ „თერჯოლის სახელოვნებო განათლების კულტურისა და ტურიზმის მუნიციპალური ცენტრი,,</p>			
<p>ქვეპროგრამის აღწერა</p>	<p>ქვეპროგრამის ფარგლებში თერჯოლის კულტურის ცენტრთან არსებული მუსიკალური და ქორეოგრაფიული ანსამბლების მეშვეობით განხორციელდება სხვადასხვა კულტურული აქტივობების ორგანიზება, მათ შორის ქალაქისა და ქვეყნის ღირსშესანიშნავი თარიღების აღნიშვნა. ქალაქის მოსახლეობისა თუ სტუმრებისათვის მრავალფეროვანი სანახაობის შეთავაზება. მნიშვნელოვანია კულტურის ცენტრში გავრთიანებული საშემსრულებლო კოლექტივების ხელშეწყობა-წახალისება (კომფორტული სამუშაო გარემოს შექმნა, კოსტუმირება, გასტროლი და სხვა მოტივაცია); სახელოვნებო დარგის სტუდენტებთან და ახალგაზრდებთან მჭიდრო შემოქმედებითი კონტაქტები. მათი შემოქმედების განვითარებისათვის კულტურის ცენტრის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შეთავაზება და მაქსიმალური მხარდაჭერა. ღვანლმოსილ მოქალაქეთა განვლილი გზის განზოგადება და დაფასება (იუბილეები, შეხვედრები, სლოგანადმი მიძღვნილი ღონისძიებები და ა.შ. მუნიციპალური ანსამბლების პოპულარიზაციის და განვითარების მიზნით დაგეგმილია გასტროლები ქვეყნის შიგნით და საზღვარგარეთ, ქართული კულტურის პოპულარიზაცია, შემოქმედებითი კოლექტივების არსებული სასცენო კოსტუმების განახლება.</p>			
<p>მოსალოდნელი შედეგი</p>	<ul style="list-style-type: none"> <li>• მუსიკალურ და ქორეოგრაფიულ ფესტივალებში გამარჯვება</li> <li>• მუნიციპალიტეტის საზოგადოების კულტურული და სოციალური თვითშეგნების განვითარება.</li> <li>• ფოლკლორული ანსამბლების ესთეტიკური და სახელოვნებო ღონის გაუმჯობესება.</li> </ul>			

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	მუზეუმები	დაფინანსება	
	05 02 05		2023 წელი ათას ლარში	2024-2026 წელი ათას ლარში
<p>ქვეპროგრამის განმახორციელებელი</p>	<p>ა(ა)იპ „თერჯოლის სახელოვნებო განათლების კულტურისა და ტურიზმის მუნიციპალური ცენტრი,,</p>			
			<p>69,0</p>	<p>261.0</p>



ქვეპროგრამის აღწერა	ამ ქვეპროგრამაში გაერთიანებულია დავით კლდიაშვილის, შალვა და პეტრე ამირანაშვილების და ჩხარის მხარეთმცოდნეობის მუზეუმები. მუზეუმები ანხორციელებენ სამეცნიერო კვლევით, კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებებს, მუზეუმების ფონდების აღრიცხვას, სისტემატიზაციას და დაცვას
მოსალოდნელი შედეგი	• მუზეუმებში ტურისტთა მაღალხარისხობრივი მომსახურება. სამუზეუმო ექსპონატების ზრდა, ტურისტთა რაოდენობის ზრდა

პროგრამის დასახელება	კოდი	ახალგაზრდული პროგრამების დაფინანსება	დაფინანსება	
			2023 წელი ათას ლარში	2024-2026 წელი ათას ლარში
	05 03		40,0	150.0
პროგრამის განმახორციელებელი	განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური			
პროგრამის აღწერა	პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება სხვადასხვა ღონისძიებები, რომლებიც ხელს შეუწყობს ახალგაზრდა თაობის მეტ ჩართულობას მუნიციპალიტეტის ყოველდღიურ საქმიანობასა და მის განვითარებაში. ქვეპროგრამის ფარგლებში ასევე დაფინანსდება მუნიციპალიტეტში მცხოვრები ბავშვებისათვის საახალწლო კონცერტებზე ტრანსპორტირებისა და საჩუქრების ხარჯები.			
მოსალოდნელი შედეგი	ახალგაზრდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება. ახალგაზრდებში პატრიოტული სულისკვეთების ამაღლება.			

პროგრამის დასახელება	კოდი	რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა	დაფინანსება	
			2023 წელი ათას ლარში	2024-2026 წელი ათას ლარში
	05 04		50.0	600.0
პროგრამის განმახორციელებელი	განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური			
პროგრამის აღწერა	ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება თერჯოლა-ტყიბულის ეპარქიის დაფინანსება.			
მოსალოდნელი შედეგი	რეაბილიტირებული ეკლესია მონასტრები. რელიგიის გავრცელება.			

პროგრამის დასახელება	კოდი	საგამომცემლო საქმიანობა	დაფინანსება	
			2023 წელი ათას ლარში	2024-2026 წელი ათას ლარში
	05 05		65,0	180.0

პროგრამის განმახორციელებელი	ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახური ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახური
პროგრამის აღწერა	ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტში არსებული ერთადერთი გაზეთ „თერჯოლა“-ში მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის ორგანოების მიერ მიღებული სამართლებრივი აქტებისა და ინფორმაციების გამოქვეყნების, შექმნის დაფინანსება და მუნიციპალიტეტის მოსახლეობაში გავრცელება.
მოსალოდნელი შედეგი	მუნიციპალიტეტში მიმდინარე მოვლენებისა და მიღებული გადაწყვეტილებების სწრაფი და მაღალხარისხობრივი გავრცელება მოსახლეობაში.

## მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. მუნიციპალიტეტი არსებული რესურსების ფარგლებში განაგრძობს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებებით და შეღავათების უზრუნველყოფას. სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში განაგრძობს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელებას, რაც უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას სხვადასხვა გადამდები და ინფექციური დაავადებისაგან.

ათას ლარში

პროგრამული კოდი	დასახელება	2022 წლის გეგმა	2023 წლის გეგმა	2024 წლის პროგნოზი	2025 წლის პროგნოზი	2026 წლის პროგნოზი
06 00	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	1 420,0	1 397,0	1 425,0	1 425,0	1 425,0
06 01	ჯანმრთელობის დაცვა	125,0	147,0	150,0	150,0	150,0
06 01 01	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	125,0	137,0	140,0	140,0	140,0
06 01 02	ჯანდაცვის ობიექტების რეაბილიტაცია	-	10,0	10,0	10,0	10,0
06 02	სოციალური პროგრამები	1 295,0	1 250,0	1 275,0	1 275,0	1 275,0
06 02 01	სოციალური დაცვა	1 295,0	1 250,0	1 275,0	1 275,0	1 275,0

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	დაფინანსება	
			2023 წელი ათას ლარში	2024-2026 წელი ათას ლარში
	06 01 01		137,0	420,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ „თერჯოლის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის მუნიციპალური ცენტრი,,			

ქვეპროგრამის აღწერა	<p>მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის სისტემის წინაშე მდგარი ამოცანების შესრულება არსებული რეალობებისადმი მიდგომების ახლებურად გააზრებას და რადიკალურ გარდაქმნებს ითხოვს. საზოგადოებრივი ჯანდაცვის პრობლემათა გადაჭრა მოსახლეობის მომსახურების მრავალფეროვნებაში, არსებულ პირობებთან ადაპტირებაში, ჯანმრთელობისათვის მოსალოდნელი საფრთხეებისა და რისკების თავიდან აცილებაში მდგომარეობს. თვითმმართველი ერთეულების უფლებამოსილებები საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სფეროში არის: ა) საგანმანათლებლო, სააღმზრდელო და საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულებებში სანიტარიული და ჰიგიენური ნორმების დაცვის ზედამხედველობა; ბ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაავადებების გავრცელების პრევენციის მიზნით დერატიზაციის, დეზინსექციისა და დეზინფექციის ღონისძიებათა ორგანიზება; გ) საგანმანათლებლო, სააღმზრდელო და საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულებებში პრევენციული ღონისძიებების განხორციელების ხელშეწყობა; დ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულ საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში სანიტარიული ნორმების დაცვის ზედამხედველობა, მათ შორის, საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში ესთეტიკური და კოსმეტიკური პროცედურების განხორციელებელ დაწესებულებებში ინფექციების პრევენციისა და კონტროლის სანიტარიული ნორმების დაცვის კონტროლი; ე) პროფილაქტიკური აცრების ეროვნული კალენდრით განსაზღვრული იმუნოპროფილაქტიკისათვის საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ მიწოდებული მასალების მიღების, შენახვისა და განაწილების უზრუნველყოფა სამედიცინო მომსახურების მიმწოდებლებისათვის; ვ) პრევენციული და ეპიდემიოლოგიური კონტროლის ღონისძიებების გატარება ეპიდსაშიშროებისას; ზ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე პირველადი ეპიდკვლევის ხელშეწყობა; თ) „ტუბერკულოზის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონით მათთვის განსაზღვრული უფლებამოსილებების განხორციელება.</p> <p>პროგრამა შედგება შემდეგი ქვეპროგრამებისაგან:</p> <ol style="list-style-type: none"> <li>1 ეპიდზედამხედველობა (მათ შორის ტუბერკულოზის კონტროლის პროგრამა) (მაღარიისა და პარაზიტოლოგიურ დაავადებათა კონტროლი)</li> <li>2 იმუნიზაცია.</li> <li>3 ცხოვრების ჯანსაღი წესის განვითარების ხელშეწყობა</li> <li>4 მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულ საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში სანიტარიული ნორმების დაცვის ზედამხედველობა.</li> </ol>
მოსალოდნელი შედეგი	მოსახლეობის ჯანმრთელობის შენარჩუნება და საგანგებო სიტუაციების ლოკალიზება

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ჯანდაცვის ობიექტების რეაბილიტაცია	დაფინანსება			
			2023 წელი ათას ლარში	2024-2026 წელი ათას ლარში		
	06 01 02		10,0	30,0		
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	სივრცითი მონაცობის, ინფრასტრუქტურის და არქიტექტურის სამსახური.					
ქვეპროგრამის აღწერა	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ამბულატორიების შენობებს ესაჭიროება კოსმეტიკური რემონტი. ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება ამბულატორიების შენობების მიმდინარე რემონტი .					
მოსალოდნელი შედეგი	თემების ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის მარალხარისხობრივი და დროული ამბულატორიული მომსახურება.					
მოსალოდნელი შედეგის შეფასების ინდიკატორი	#	ინდიკატორის აღწერა	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა)	განმარტება
	1	რეაბილიტირებული ობიექტების რაოდენობის ზრდა	4	6	10%	
2						

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სოციალური დაცვა	დაფინანსება	
			2023 წელი ათას ლარში	2024-2026 წელი ათას ლარში
			1 250.0	3 825.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	06 02 01	ჯანდაცვის და სოციალურ საკითხთა სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა		<ul style="list-style-type: none"> <li>ამ ქვეპროგრამით გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტში მცხოვრები სოციალურად დაუცველი მოქალაქეებისათვის სხვადასხვა სახის ყოფითი საჭიროებებისათვის დახმარების განწევა თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცებული სოციალური პროგრამის და საკრებულოს სხვადასხვა განკარგულებების საფუძველზე, კერძოდ:</li> <li>1. თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მძიმე სოციალურ პირობებში მყოფი ოჯახების ერთჯერადი ფინანსური დახმარება.2. თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული პირველი ჯგუფის უსინათლოთა სოციალური დახმარება. 3. ქალაქ თერჯოლაში სოციალურად დაუცველ მოსახლეობის ნაწილი რომლებიც სარგებლობდა უფასო სასადილოთი უზრუნველყოფილი იქნებიან შესაბამისი თანხებით.4. თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ეპილეფსიით ან პარკინსონით დაავადებულ ბენეფიციართა სოციალური დახმარება.5. თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული დიალიზის სახელმწიფო პროგრამის დაქვემდებარებული ბენეფიციარების სოციალური დახმარება.6. თერჯოლის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებადი უნარშემღუდული ბავშვების დღის ცენტრების დაფინანსება.7. თერჯოლის ინვალიდთა ასოციაციის დახმარება (მუნიციპალიტეტში მცხოვრები შებლუდული შესაძლებლობების მქონე მოქალაქეებისათვის სხვადასხვა ღონისძიებები).8. თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ახალშობილთა ოჯახების ფინანსური დახმარება. დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით მუნიციპალიტეტი აწარმოებს ახალდაბადებულ ბავშვთან ოჯახების დახმარების პროგრამას, რითაც გათვალისწინებულია თერჯოლის მუნიციპალიტეტში მცხოვრები მშობლებისათვის დახმარება.9. თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული სახლდაზიანებული მოქალაქეების დახმარების პროგრამა. აღნიშნული ითვალისწინებს სტიქიური და სხვა მოვლენების შედეგად სახლდაზიანებული ოჯახების დახმარებას.10. თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მძიმე ჯანმრთელობასა და სოციალურ მდგომარეობაში მყოფ მოქალაქეებზე მედიკამენტებით დახმარება.11. თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მძიმე ჯანმრთელობასა და სოციალურ მდგომარეობაში მყოფ მოქალაქეებზე საკვები პროდუქტებით დახმარება.12. თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ომის ვეტერანების სადღესასწაულო დახმარება და სარიტუალო მომსახურება. აღნიშნული ღონისძიება ითვალისწინებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში კანონმდებლობით გათვალისწინებული სარიტუალო მომსახურების ხარჯების ანაზღაურებას. თითოეულ გარდაცვლილ ომის ვეტერანზე 250 ლარის ოდენობით.13. თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მოქალაქეების სამედიცინო მომსახურების ერთჯერადი თანადაფინანსება. აღნიშნულით გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოქალაქეების სამედიცინო მომსახურების (გარდა პლასტიკური ოპერაციებისა) ღირებულების ანაზღაურების თანადაფინანსება.14. თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული 18 წლამდე დიაბეტით და ფენილკეტონურიით დაავადებულ ბავშვთა ოჯახების ფინანსური დახმარება.15. თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მართხელა მშობლის სოციალური დახმარება. 16. თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული 18 წლამდე შშმ პირთა სარეაბილიტაციო მომსახურების პროგრამა.17. უპატრონო მიცვალებულის სარიტუალო მომსახურება.</li> </ul>		
მოსალოდნელი შედეგი		<p>სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სოციალურ ეკონოლიკური მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობა</p> <p>შებლუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანების საზოგადოებაში ინტეგრაცია.</p> <p>მუნიციპალიტეტში დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობა.</p> <p>სოციალურად დაუცველი მოსახლეობისათვის საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების ხელშეწყობა.</p> <p>მრავალშვილიანი ოჯახების მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობა.</p> <p>სოციალურად დაუცველი მოსახლეობის მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობა</p> <p>მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ჯანმთელობის დაცვის ხელშეწყობა</p>		

## მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები

პრიორიტეტი მოიცავს ისეთ ღონისძიებებს, რომლებიც ადმინისტრაციული ხასიათისაა და ხელს უწყობს სისტემის გამართულ ფუნქციონირებას, როგორცაა მუნიციპალიტეტის სტრუქტურული ერთეულების, მუნიციპალიტეტის საკრებულოს, აპარატის შენახვის ხარჯები, მათ შორის: თანამდებობრივი სარგო და სხვა. ასევე მოიცავს ბიუჯეტის სარეზერვო ფონდს, წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების ფონდს.

მუნიციპალიტეტის მერიის მუდმივი ყურადღების საგანია წარმატებულ სპორტმენტა და ახალგაზრდობის მორალური და მატერიალური წახალისების სტიმულირება. მერია აგრეთვე უზრუნველყოფს გენდერული თანასწორობის პროგრამების ფინანსურ ხელშეწყობას.

ათას ლარში

პროგრამული კოდი	დასახელება	2022 წლის გეგმა	2023 წლის გეგმა	2024 წლის პროგნოზი	2025 წლის პროგნოზი	2026 წლის პროგნოზი
-	თერჯოლის მუნიციპალიტეტი	30 337,3	15 750,0	23 770,0	25 460,0	27 330,0
01 00	მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები	4 648,0	4 506,0	6 121,0	6 411,0	7 031,0
01 01	საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობის უზრუნველყოფა	4 468,2	4 385,0	5 890,0	6 180,0	6 800,0
01 01 01	თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულო	857,0	895,0	1 052,0	1 107,0	1 202,0
01 01 02	თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერია	3 449,2	3 325,0	4 648,0	4 873,0	5 388,0
01 01 03	სამხედრო აღრიცხვისა და განვევის სამსახური	162,0	165,0	190,0	200,0	210,0
01 02	საერთო დანიშნულების ხარჯები	179,8	121,0	231,0	231,0	231,0
01 02 01	სარეზერვო ფონდი	60,8	50,0	100,0	100,0	100,0
01 02 02	წინა პერიოდში წარმოქმნილი ვალდებულებების დაფარვა და სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების ფინანსური უზრუნველყოფა	1,0	1,0	1,0	1,0	1,0
01 02 03	მუნიციპალიტეტის ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა	88,0	50,0	100,0	100,0	100,0
01 02 04	კადრების მომზადება-გადამზადებასთან, კვალიფიკაციის ამაღლებასა და სტაჟირებასთან დაკავშირებული ხარჯი	30,0	20,0	30,0	30,0	30,0